

თემიდა (/)

Tweet

Like 0

Share



ნახევები: 142

საქმის ნომერი: 3/3580-14

საქმეთა კატეგორიები: ადმინისტრაციული სამართალი,

სასამართლო: თბილისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე: თამარ ონიანი,

გადაწყვეტილების სახე:

კანონიერი ძალა: გასაჩივრდა, საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, შესულია კანონიერ ძალაში

ინსტანციური ისტორია: 3ბ/604-16, ბს-252-250(კ-17)

მითითებული გადაწყვეტილებები:

მიმითიებელი გადაწყვეტილებები:

რეზიუმე:

ციტირებისთვის: თბილისის საქალაქო სასამართლო, , საქმე №3/3580-14 (2015-01-30), www.temida.ge

საქმის № 3/3580-14



საქართველოს სახელით

30 იანვარი, 2015 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
 ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
 შემდეგი შემადგენლობით:
მოსამართლე:
 თამარ ონიანი

მოსარჩელე - გ. ა.

წარმომადგენელი - მ. ჯ.

მოპასუხე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

წარმომადგენელი - თ. ლ.

მოპასუხე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წარმომადგენელი - ნ. ქ.

მოპასუხე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტი
თემიდა (4)
 თემიდა - მ. გ.

მესამე პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილება
წარმომადგენელი - ბ. მ.

მესამე პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტი
წარმომადგენელი - გ. ყ.

დავის საგანი - მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ საკუთარი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების დარღვევით მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება ყოველთვიური სარჩოს სახით თვეში 1000 ლარის ოდენობით სარჩელის წარმოებაში მიღების დღიდან.

1.2. მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ საკუთარი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების დარღვევით მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 200 000 ლარის ოდენობით.

1.3. მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელისათვის სპეციალური სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურება თვეში 8000 ლარის ოდენობით. მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლის 25 დეკემბერს, ქუჩაში ყოფნის დროს, გ. ა.-მ, რომელიც იმ დროისათვის იყო არასრულწლოვანი (13 წლის), შენიშნა ძირს დაგდებული ლითონის ნივთი. მან ვერ გააცნობიერა ნივთიდან მომდინარე საშიშროება, ხელში აიღო იგი და დათვალიერების მიზნით ზემოქმედებდა მასზე. ბავშვის მიერ ზემოქმედების შედეგად ნაღმი მოქმედებაში მოვიდა და აფეთქდა, რა დროსაც 13 წლის გ. ა.-მ მიიღო მრავლობითი, სიცოცხლისათვის საშიშვლო დაზიანება. აფეთქებისთანავე, დაცემამდე წამის მიკრომეასედებში ბავშვი დასივდა ისე, რომ მისი ცნობაც კი შეუძლებელი იყო. შემთხვევის ადგილზე მივიდა საპატრულო ეკიპაჟის რამოდენიმე მანქანა, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა და ბავშვი გადაყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში. გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად მოხდა ბავშვის მარტვენა ხელის ამპუტაცია ხელის მესამედიდან, დაკარგა მარტვენა თვალი, თვალის კაკლის გახეთქვისა და დაღვრის გამო, ჭრილობებით დაფლეთილი ჰქონდა ქუთუთოები, მიღებული ჰქონდა სახის კანის მეორე ხარისხის დამწვრობა და მთელს სხეულზე მრავლობითი ჭრილობები ამოვსებული იყო აფეთქებული ნაღმის ნაწილებით. ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ფაქტზე დაიწყო გამოძიება. ბავშვის ოჯახი ელოდებოდა, რომ გამოძიებით დადგინდებოდა პირი, რომელმაც უკონტროლოდ დააგდო ქუჩაში ნაღმი და ასევე გამოიკვეთებოდა პირი, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზოგადოებრივ წესრიგზე ქუჩაში, რომელსაც შეეძლო, გამოეგვლინა უკონტროლოდ დაგდებული საშიშროების შემცველი ნივთი, თუმცა, როგორც მოპასუხის წერილობითი პასუხიდან გამოჩნდა, არათუ გამოძიების მიმდინარეობა, არამედ მოპასუხე იმ მასალებიც კი არ შეინახა და თუ გამოძიება არ დაიწყო, არც დაარქივა, რომელიც შედგენილი იყო იმავე დღეს და, დიდი ალბათობით, შეიცავდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების აღწერის მასალას, აფეთქებული ნაღმის ნაწილებისა და

ნარჩენების აღწერილობას, რითაც დაზარალებულს საერთოდ წაართვა არათუ თემი, არამედ ბრალეული პირის გარკვევის, ზიანის მიმყენებელი სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალება, რასაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა სარჩელის სხვა მოპასუხეთა სათანადოობის საკითხის დადგენისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული მასალები მნიშვნელოვანია ბავშვის მკურნალობისათვის, რამდენადაც აფეთქებული ნივთის ლითონის ნაწილები ჯერ კიდევ ასეულობით ჩანს ბავშვის კანიდან, მათ შორის, სახიდან, რის გამოც მოსარჩელე მუდმივად იმყოფება მუდმივი ფსიქოლოგიური სტრესისა და ფიზიკური არასრულფასოვნების ძლიერი წნეხის ქვეშ.

2. მოპასუხის პოზიცია

- 2.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.
- 2.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.
- 2.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. მესამე პირის პოზიცია

- 3.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სარჩელს მხარი არ დაუჭირეს.

4. ფაქტობრივი გარემოებები

- 4.1. უდაო ფაქტობრივი გარემოებები
- 4.1.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 19 თებერვლის წერილის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგო-საინფორმაციო სამმართველოს ცენტრ „022-ზე“ 2010 წლის 25 დეკემბერს მოქალაქე გ. დ.-ს მიერ შევიდა შეტყობინება, რომ ქ. თ.-ში, შ.-ს ქუჩა NXX-ში მ.-ს ხიდთან ბავშვს აუფეთქდა ასაფეთქებელი მოწყობილობა. შემთხვევის ადგილზე გავიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომლებმაც „022-ზე“ დააფიქსირეს, რომ ქ.-ს NXX-იდან იაშვილის კლინიკაში გადაყვანილ იქნა 1997 წელს დაბადებული გ. ა. და 1995 წელს დაბადებული თ. ქ., რომლებსაც აუფეთქდათ ასაფეთქებელი მოწყობილობა/საგანი. ამასთან, წერილში მითითებულია, რომ საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია დღეის მდგომარეობით არ მოიპოვება.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 19 თებერვლის N 10/12-336847 წერილი. (ს.ფ. 16)

4.1.2. დადგენილია, რომ ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის მე-3 განყოფილებაში 2010 წლის 25 დეკემბერს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის NXXXXXXXXX საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით ქ. თ.-ში, ქ.-ს ქუჩა NXX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე თ.

ქ.-სა და გ. ა.-ს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე. იმავე დღეს დიდუბე-ჩუღურეთის მე-3 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე გამომძიებლის მიერ შედგა შემთხვევის ადგილი

დათვალიერების ოქმი, დათვალიერება მიმდინარეობდა დღის საათებში, დაიწყო 14:25 საათზე და დასრულდა 17:50 სთ-ზე, შემთხვევის ადგილიდან ექსპერტების მიერ ამოღებულ იქნა მოპოვებული ფრაგმენტები და შესაბამისად დაილუქა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, ფორმა N X.
- შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი.

4.1.3. 2010 წლის 26 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მე-3 განყოფილების დადგენილებით დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტა, რომელიც იმავე წლის 27 დეკემბრის მიმართვით გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ 2011 წლის 03 თებერვალს გამოიცა ექსპერტის დასკვნა N XXXXXX/XX XXX/XX, რომლის მიხედვით შემთხვევის ადგილზე მოხდა ქარხნული წესით დამზადებული PMH -2 ტიპის ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმის აფეთქება, რომელიც წარმოადგენს ასაფეთქებელ მოწყობილობას და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ობიექტები წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ PMH -2 ტიპის ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმის კორპუსის ამფეთქის ფრაგმენტებს, დარჩენილს ნაღმის აფეთქების შემდეგ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- დადგენილება ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.
- 2010 წლის 27 დეკემბრის მიმართვა.
- 2011 წლის 03 თებერვლის ექსპერტის N XX/X XXX/XX XXX/XX დასკვნა.

4.1.4. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს მიერ 2010 წლის 28 დეკემბერს გაცემული ცნობის მიხედვით, პაციენტი გ. ა. მიმდინარე წლის 25 დეკემბერს მოთავსებულ იქნა სტაციონარში მრავლობითი დაუზუსტებელი დაზიანებებით, მრავლობითი ნაფლეთოვან-ცეცხლსასროლი ჭრილობებით სახის, მკერდისა და კიდურების მიდამოში, მარჯვენა თვალის კაკლის გახეთქვა-შიგთავსის დაკარგვით, მარჯვენა ზედა კიდურის ამპუტაცია წინამხრის დისტალგიურ მესამედში, სახის კანის დამწვრობით. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს 2011 წლის 04 იანვარს გაცემული ცნობის მიხედვით პაციენტი გ. ა.-ს ჩაუტარდა ოპერაცია, მარჯვენა თვალის ევისტერცია, მარცხენა რქოვანას უცხო სხეულის ამოღება, ქუთუთოს ჭრილობის გაკერვა, სახის მიდამოდან უცხო სხეულების ამოღება-გაკერვა, მარჯვენა წინამხრის ტაკვის ფორმირება, უცხო სხეულების ამოღება, გაკერვა მარჯვენა ზემო და ქვემო კიდურებიდან.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების (სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა N XX-XX/X) მიხედვით დგინდება, რომ გ. ა.-მ გაიარა მკურნალობის კურსი შპს „ოფთალმიჭმი“, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტში, შპს „მე-16 პოლიკლინიკა საოჯახო მედიცინის ცენტრში“. მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებისათვის ერთდროულად საჭირო იყო კონსულტაცია მედიცინის სხვადასხვა სფეროში მომუშავე პირებთან, მათ შორის, ქირურგთან, ოფთალმოლოგთან და ნევროლოგთან.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 28.10.2010 წ. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
თემატიკა (V)
 შესაფასებელი აკადემიკოსის სამედიცინო ბარათი N XXXXX.
 - 04.01.2011 წ. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
 - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები (სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა N XX-XXX/X).

4.1.5. მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობით (სერია N XXXXXXX) გ. გ.-ს ძე ა., დაბადებული 1997 წლის 21 მარტს, შემოწმდა პირველად და მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი. შესაძლებლობის სტატუსი დაუდგინდა 2015 წლის 21 მარტამდე მორიგი გადამოწმების თარიღის მითითებით. გ. ა. კვლავ იმყოფება მხედველობაშენარჩუნებული თვალისა და მხედველობის დაკარგვის საფრთხის ქვეშ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ცნობა NXXXXXXXX.
- კლინიკა „ოფთალმიკის“ მიერ გაცემული დასკვნა გ. ა.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

4.1.6. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ამონაწერით (მომზადების თარიღი 22.09.2014 წ.) ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ყ.-ს ქუჩა N XX-ში მცხოვრები გ. გ.-ს ოჯახის, რომლის შემადგენლობაშიც არიან: მ.გ., ა. ა., გ. ა., გ. ა. და გ. ა., მოქმედი სარეიტინგო ქულა შეადგენს 10230. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, გ. გ.-მ, მ. გ.-მ, ა. ა.-მ, გ. ა.-მ, გ. ა.მ და გ. ა.-მ გაიარეს 2013 წლის დევილთა სავალდებულო რეგისტრაცია.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 15 ნოემბრის ცნობა.

4.1.7. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დასრულებული არ არის და კვლავაც მიმდინარეობს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

5.1. საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

6. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად დავისუფლებათა ევროპული კონვენცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2006 წლის 13 ივნისის №XX ბრძნებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მერიის დასუფთავების საქალაქო სამსახურის დებულება“

თემატიკა (1)

საქართველოს შიდა საგარეო უფლებასება

7.1. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმართველობის ორგანოთა და მომსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. მოყვანილი ნორმების სამართლებრივი ანალიზი საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, განსაზღვრულია სუბიექტთა წრე (სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო/ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო), დაკავშირებული ურთიერთობის და პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი ზიანის მიყენების შემთხვევაში. თუმცა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან. ხსენებული მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ხოლო ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდარების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო

ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეულის დაზიანებით ან ფეხითა და ხელისათვის ჯანსაღი ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. ხსენებული კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მითითებული მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), წარმოშობილი ზიანი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს. მოცემული საკანონმდებლო აქტის მიხედვით მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი.

2010 წლის მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „მ“ ქვეპუნატი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას - მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე: დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, ნაგავსაყრელების მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;

2006 წლის 13 ივნისის №XX ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მერიის დასუფთავების საქალაქო სამსახურის დებულების“ პირველი მუხლი ადგენს, რომ ქალაქ თბილისის მერიის დასუფთავების საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობისათვის დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის საკითხებში კანონმდებლობით მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილ დარგობრივ მმართველობის ორგანოს და არის ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული. ამავე დებულების მეორე მუხლის მ-3 პუნქტი განსაზღვრავს ამ სამსახურის ფუნქციებს, კერძოდ, საქმიანობის ძირითადი მიზნიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე, სამსახურის, ფუნქციებს განეკუთვნება: ა) დაგვა- დასუფთავების ორგანიზება დედაქალაქში; ბ) ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილების, სეპარაციის, გადამუშავებისა და ხელახლა გამოყენების ორგანიზება; გ) ნარჩენების შეგროვების,

გაუვნებელყოფისა და განთავსების ადგილზე ტრანსპორტირების ორგანიზება; დ) დაგვა-დასუფთავების მართვის ორგანიზება; ე) დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის სფეროს რეგულირებისათვის საჭირო წესების პროექტების შემუშავება; ვ) დაგვა-დასუფთავებასა და ნარჩენების მართვის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვის კონტროლი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის NXXX დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში –სამინისტრო) არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, ასევე სხვა საჯარო ფუნქციებს. თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს. 2010 წლისთვის მოქმედი 2004 წლის 27 დეკემბრის საქართველოს პრეზიდენტის N XXX ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებით განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანები, კერძოდ, სამინისტროს საქმიანობის სფეროა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მიზნებისა და მოქმედებების გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა. სამინისტროს ამოცანებია:

ა) საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამეცნიერო-ეკონომიკური, სამხედრო პოტენციალის და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება და სხვა ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა; ბ) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოვლენა, წინასწარი გამოძიება, ბრალდებულთა, განსასჯელთა და მსჯავრდებულთა ძებნისა და დაკავების, ამოუცნობი გვამების დადგენის უზრუნველყოფა, დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება; დ) ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან; სასამართლო განმარტავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანას წარმოადგენს დაგვა-დასუფთავების ორგანიზება დედაქალაქში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის სფეროს კი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას - დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოვლენა, გამოძიება, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ძებნისა და დაკავების, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ანალიზი და დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სიცოცხლის უფლება ხელშეუვალი უფლებაა, იგი ადამიანისათვის თანდაყოლილია და არა კანონით ბოძებული და არც მისი ჩამორთმევა შეუძლია ვინმეს.

თემატიკა (1)
 სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს ვალდებულებაა, ისრებს ნეგატიურ ვალდებულებას - არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, პოზიტიური ვალდებულება კი - იზრუნოს სიცოცხლისათვის საფრთხის ასაცილებლად და დაიცვას იგი სხვათა მხრიდან ხელყოფისგან. სიცოცხლის საფრთხის აცილების სფეროში სახელმწიფოს ვალდებულება გულისხმობს აღკვეთოს სიცოცხლის საფრთხე, მაგრამ ეს მოვალეობები შეზღუდულია, რაც გულისხმობს, რომ სიცოცხლის უფლება არ წარმოადგენს „სიცოცხლის დაზღვევას“, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან არის გარანტირებული.

დადგენილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგო-საინფორმაციო სამმართველოს ცენტრ „022-ზე“ 2010 წლის 25 დეკემბერს შევიდა შეტყობინება, რომ ქ. თბილისში, შ.-დან ბავშვს აუფეთქდა ასაფეთქებელი მოწყობილობა. შემთხვევის ადგილზე გავიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომლებმაც „022-ზე“ დააფიქსირეს, რომ ქ.-ს NXX-იდან იაშვილის კლინიკაში გადაყვანილ იქნა 1997 წელს დაბადებული გ. ა., რომელსაც აუფეთქდა ასაფეთქებელი მოწყობილობა/საგანი. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებას, რომელზედაც მოსარჩელე ამაყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს, წარმოადგენს ქ. თბილისში, ქ.-ს ქუჩა N XX-ზე მოპასუხეების კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილი არ არის ასაფეთქებელ მოწყობილობასა და მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანებას შორის კავშირი, შესაბამისად, გარემოება, მასზედ, უკავშირდება თუ არა მოპასუხეების მოვალეობათა ჯეროვან შეუსრულებლობას მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანი, არ არის დადგენილი, შეეძლოთ თუ არა მოპასუხეებს აღნიშნული ზიანის თავიდან აცილება, დანაშაულის აღკვეთა პრევენციული ღონისძიებებით, საქმის მასალებით არ დასტურდება. ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების კანონისმიერი საფუძველი სახეზე არ არის, ვინაიდან სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ შეიძლება განისაზღვროს იმგვარად, რომ სრული გარანტია შექმნას დანაშაულის პრევენციის.

7.8. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლზე, რომელიც კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ფუძემდებლური დებულებაა, რადგან მასში გათვალისწინებულია ევროპის საბჭოში შემავალი დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე ფუძემდებლური ფასეულობა - სიცოცხლის უფლება (ჰაასი და საბო უნგრეთის წინააღმდეგ (Haász and Szabó v. Hungary), განაცხადი nos. 11327/14 და 11613/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 49). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიზანია, დაიცვას ადამიანები როგორც სიცოცხლის ძალადობრივი ხელყოფისგან, ისე სიცოცხლისთვის საშიში სხვა საფრთხეებისგან. სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის კანონით დაცვის პოზიტიური

ვალდებულება გულისხმობს მატერიალური სისხლის სამართლის ქმედითი ნორმების დარღვევების პრევენციის, ჩახშობისა და დასჯის მიზნით (ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Angelova and Iliev v. Bulgaria), განაცხადი no. 55523/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 93). სიცოცხლის უფლების კანონით დაცვის ვალდებულება, განმტკიცებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით, წაკითხული კონვენციის პირველი მუხლით განმტკიცებულ სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად, ყველასათვის თავისი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოს კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები, გულისხმობს ქმედითი გამოძიების ჩატარებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სიცოცხლე ხელყოფილია (მულინი ბულგარეთის წინააღმდეგ (Mulini v. Bulgaria), განაცხადი no. 2092/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 40). აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა ადამიანი გადარჩა, თუმცა მისი სიცოცხლე საფრთხეს დაექვემდებარა (ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Khaindrava and Dzamashvili v. Georgia), განაცხადი no. 18183/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 35).

„ქმედითი გამოძიება“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ავტონომიური მნიშვნელობის მქონე ტერმინია. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლში ინკორპორირებული ვალდებულება ქმედითი გამოძიების ჩატარებაზე სცდება გამოძიების სტადიას და მოიცავს სასამართლო განხილვის სტადიასაც. მთლიანად სამართალწარმოების შედეგად უნდა შესრულდეს კანონის მეშვეობით სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება. თუმცა არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, რომ სისხლის სამართალწარმოება პირის მსჯავრდებით ან კონკრეტული სასჯელის დაკისრებით დასრულდეს, ეროვნულმა სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ სიცოცხლის ხელყოფა დაუსჯელი დარჩეს (ბ. ხორვატიის წინააღმდეგ (B. v. Croatia), განაცხადი no. 71593/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 61).

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება არ არის შესრულებული ხარვეზიანი გამოძიების ჩატარებით, რომლის განმავლობაშიც დანაშაულის ჩადენაზე პასუხისმგებელი პირი ვერ დადგინდა (ლარი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ (Lari v. The Republic of Moldova), განაცხადი no. 37847/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 35). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო სამართლებრივი ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სამართალდამცველმა სისტემამ უნდა აჩვენოს მატერიალური სისხლის სამართლის აღსრულების უნარი მათ წინააღმდეგ, ვინც არამართლზომიერად ხელყო სხვათა სიცოცხლე (ბ. ხორვატიის წინააღმდეგ (B. v. Croatia), განაცხადი no. 71593/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 59).

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის პატივსა და ღირსებას ხელშეუვლად აცხადებს, შესაბამისად, სახელმწიფოს მრავალ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას აკისრებს. ადამიანის ღირსება ყველა ძირითადი უფლების საფუძველია. ადამიანის უფლებებთა ბუნებითი წარმოშობის აღიარება სწორედ ადამიანის ღირსების აღიარებას გულისხმობს. ადამიანს რომ ღირსება აქვს, სწორედ ამიტომ გააჩნია სიცოცხლის, თავისუფლების, თანასწორობის, ღირსეული ცხოვრების უფლება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულის პირველივე დებულებაში გაცხადებულია, რომ დეკლარაცია ეყრდნობა „ადამიანის ხელშეუვალი, თანაარსი

ლირსების, თანასწორობისა და განუყოფელი უფლებების აღიარებას". ადამიანის ღირსება

თემატა (2)

და პასუხისმგებლობის მქონე არსებისთვის. შესაბამისად, ყველას უნდა გააჩნდეს სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებები და ისინი არ ექვემდებარება პოზიტიური სამართლით გაუქმებას. ადამიანის ღირსების ასეთი ფართო გაგება უდევს საფუძვლად სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს - ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვას. ადამიანის ღირსების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებაა სამართლიანი დაცვა. სახელმწიფოს ნებისმიერი თვითნებობა ადამიანის ღირსებას ლახავს. მოქალაქეები, ცხოვრობენ რა დემოკრატიულ სახელმწიფოში, გააჩნიათ ლეგიტიმური მოლოდინი სამართლის უზენაესობის დაცვისა, მოლოდინი იმისა, რომ სამართლიანი კანონები სამართლიანად და ადეკვატურად იქნება მათ მიმართ გამოყენებული და არ გახდებიან ხელისუფლების თვითნებობის მსხვერპლი. სახელმწიფო მოქალაქეებს არ უნდა უქმნიდეს განცდას, რომელიც მათში უიმედობასა და სასოწარკვეთას იწვევს. ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ მისი უფლებები და ინტერესები არ შეილახება უკანონოდ და უსამართლოდ, ხოლო ასეთის შემთხვევაში მის განკარგულებაში იქნება სამართლებრივი დაცვის საშუალებები. მისი უფლებების დაცვის გარანტორი - კანონი ეფექტურად უნდა იქნეს აღსრულებული პრაქტიკაში. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია, რომ ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის მე-3 განყოფილებაში 2010 წლის 25 დეკემბერს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე NXXXXXXX საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით ქ. თბილისში, ქ.ს ქუჩა NXX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე თ. ქ.-სა და გ. ა.-ს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე. ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის აფეთქებამაც მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია, წარმოადგენს ასაფეთქებელ მოწყობილობას და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

ამასთან, დადგენილია, რომ გ. ა. 2010 წლის 25 დეკემბერს მოთავსებულ იქნა სტაციონარში მრავლობითი დაუზუსტებელი დაზიანებებით, მრავლობითი ნაფლეთოვან-ცეცხლსასროლი ჭრილობები სახის, მკერდისა და კიდურების მიდამოში, მარჯვენა თვალის კაკლის გახეთქვა შიგთავსის დაკარგვით, მარჯვენა ზედა კიდურის ამპუტაცია წინამხრის დისტალგიურ მესამედში, სახის კანის დამწვრობა. გ. ა. კვლავ იმყოფება მხედველობაშენარჩუნებული თვალიდან მხედველობის დაკარგვის საფრთხის ქვეშ. დადგენილია ასევე, რომ გამოძიება დასრულებული არ არის და კვლავ მიმდინარეობს, თუმცა მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. მოცემული გარემოებები სასამართლოს აძლევს იმგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ სახელმწიფო არ არის მოწოდებული, ქმედითი გამოძიებით უზრუნველყოს მოცემული საქმის დასრულება, რაც, თავის მხრივ, არ იძლევა ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის დადგენის საშუალებას, ამგვარი მოქმედებით კი სახელმწიფო მოსარჩელეს უქმნის განწყობას, რომ კანონი მის მიმართ არ არის გამოყენებული სამართლიანად და ადეკვატურად და ქმნის უიმედობის განცდასა და იწვევს სასოწარკვეთას, რაც პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის პრინციპის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, კი არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს პირის ღირსების შემლახველ

ქმედებას. სასამართლო მიუთითებს, რომ მორალური (არაქონებრივი) ზიანის ზუსტ ღირებულება სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძვლების მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ექვს არ იწვევდეს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ ამგვარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული კონკრეტული პირის მიერ კონკრეტული ფაქტის ჩადენა უნდა დაედოს საფუძვლად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია, არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვიული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არაქონებრივი ზიანი, თავისი ბუნებით, არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის წყაროს. იგი მიეცემა დაზარალებულს სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ. ამდენად, მორალური ზიანი თავისი შინაარსით არამატერიალური ცნებაა და აქედან გამომდინარეობს კანონის დანაწესი მისი ოდენობის დასადგენად მხოლოდ გონივრულობისა და სამართლიანობის და არა რაიმე ფაქტობრივი მატერიალური დანაკარგის გათვალისწინების თაობაზე. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას, მას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, არ გააჩნია ღირებულება, სწორედ ამიტომ ამგვარი ზიანის დამტკიცებისთვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მისი ანაზღაურების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს, დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მხრიდან. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს

დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ზიანის მატარებლის მოქმედებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის ცხოვრების პირობებს (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური სტატუსი, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხს და სხვა გარემოებებს. ვინაიდან მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების სრული რესტიტუცია, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული უხერხულობის, ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს. დელიქტით გამოწვეული შედეგის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის და რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დააკისროს 25 000 ლარის ანაზღაურება. კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ თანხის ოდენობა არ უზრუნველყოფს ხელყოფილი უფლების აღდგენას/რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, თუმცა კომპენსაციის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია უზრუნველყოს მოსარჩელის ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რაც დაეხმარება მას სულიერი გაწონასწორების მიღწევაში.

8. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. მოცემულ შემთხვევაში, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯებისაგან, ხოლო ამავე მუხლის „მ1“ ქვეპუნქტის თანახმად ბაჟის გადახდისაგან თავისუფლება, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე. ვინაიდან ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 46-ე, 55-ე, 243-244-ე, 248-249-ე, 257-ე, 364-365-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

თემიდა (/)

1. სასარგებლო დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელე გ. ა.-ს სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.

3. გ. ა.-ს სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

4. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) სააპელაციო საჩივრის შემოტანის გზით.

2018 © temida.mylaw.ge ყველა უფლება დაცულია



(<http://www.top.ge/index.php?h=114887#114887>)

თემიდას მწიგნობარი